

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/20	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	81093	233472	124876
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	208405	220833	267150
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	69932	37610	36417
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	69932	37610	36417
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	6680
ძირითადი საშუალებები	8696675	8910973	9112228
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	11646740	0	0
სულ აქტივები	20702845	9402888	9547351
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	89280	82854	122209
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2424	2424	2424
საგადასახადო ვალდებულებები	59380	32296	6891
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	2125287	3401019
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	13748857	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	3642858	2400035	47900
სულ ვალდებულებები	17542799	4642896	3580443
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის)	3706641	5306641	5656641
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-546595	-546649	310267
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	3160046	4759992	5966908
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	20702845	9402888	9547351
სულ მოკლევადიანი აქტივები	359430	220833	267150
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3793942	0	0


დირექტორი



თამაზ ექიზაშვილი

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2021
ნეტო ამონაგები	4754159	0
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	4234743	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	519416	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	4754159	0
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	3924803
დასაქმებულთა ანაზღაურება	-454468	-450133
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-232842	-242004
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-679163	-142888
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1016822	-791889
სულ საოპერაციო ხარჯები	-2383295	2297889
საოპერაციო მოგება	2370864	2297889
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახს	0	356298
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2370864	2654187
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2370864	2654187
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასე	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2370864	2654187
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4759992	5966908
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2370810	-2964455
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-546648
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-1600000	-350000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3160046	4759992

დირექტორი




თამაზ ექიზაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	4991187
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-152379	-4882591
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	0	0
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	233472	124876
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	81093	233472

დირექტორი

თამაზ ექიზაშვილი



განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

შპს „ზესტაფონის“ სავაჭრო ცენტრი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2011 წლის 15 აპრილს

იურიდიული მისამართი: საქართველო, ზესტაფონი, ჭანტურიას 42

საიდენტიფიკაციო ნომერი: 430024840

საზოგადოების დამფუძნებელია:

შპს მ ს ს.5 211327287 -- 75%

ომარ სამადაშული პ.501020000660 -- 25%

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- შემოსავალი შენობისა და ფართის იჯარიდან.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საწარმოს დირექტორი.

ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

- ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა – ელექტრონული ფორმით. კერძოდ, კომპიუტერული პროგრამა „ორის – ბუღალტერიით“.

- საზოგადოება იყენებს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის” შესაბამისად,

მოქმედ ანგარიშთა გეგმას. ძირითად საბაზანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს, საჭიროებისამებრ, ქვეანგარიშები.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;
- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმური დაგროვება);
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით;
- საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის;
- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;
- დამატებითი ანალიზური აღრიცხვა დასაშვებია სხვა კომპიუტერული პროგრამებითაც.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

- მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;
- 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ტელეფონის აპარატი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;
- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (ქეთრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

მოთხოვნების აღრიცხვა

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად.

ვალდებულებების აღრიცხვა

- ვალდებულებები საქონლის მომსახურების მომწოდებლების მიმართ: მეკავშირე საწარმოს, ურთიერთდამოკიდებული პირების, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აღირიცხება გამიჯნულად.

საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- საწარმოს კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და 3706641 ლარს /სამიმილიონ შვიდასეცხათასეცხასორმოცდაერთ/ ლარს შეადგენს;
- კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

ინვესტიციების აღრიცხვა

- მიმდინარე ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით;
- გრძელვადიანი ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით.

შემოსავლების აღრიცხვა

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისთვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

ხარჯების აღრიცხვა

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით.

ხარჯებისა და შემოსავლების აღრიცხვა საგადასახადო მიზნისათვის

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები/განაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, ასევე სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები აღირიცხება გამიჯნულად ამ მიზნით გახსნილ სუბანგარიშებზე.

მოგება-ზარალი:

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად;
- საწარმოს რეინვესტირებისთვის;
- სხვა დანიშნულებით, პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოგების განაწილება და დაბეგვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98-ე მუხლის საფუძველზე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის, კერძოდ ე.წ. „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრი“

დირექტორი:

/თამაზ ექიზაშვილი/



**შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობის ანგარიში**

**2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილ
ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად და ასახავს შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ფასს-ის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მის თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებაზე, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის, შესადარის, საიმედო და აღქმად ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროა მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

• ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

• სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების დაცულობის, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და პრევენციაზე;
- მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები დამტკიცებულია 2023 წლის 07 აგვისტოს და წარმოდგენილია 08 აგვისტოს.

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“

დირექტორი:




/ თამაზ ექიზაშვილი/

2023 წლის 08 აგვისტო

ზესტაფონი, საქართველო





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

შპს „M აუდიტი“ LTD „M auditi“

დამოუკიდებელი აუდიტორი

№ 9

27. 09. 23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა № 9

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ ხელმძღვანელობას და მენეჯმენტს

შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული საანგარიშო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგებთან დაკავშირებით

ზესტაფონი

27. 09. 23.

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზესტაფონის სავაჭრო ცენტრის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ; ანგარიშგებას მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების შესახებ; ანგარიშგებას საკუთარ კაპიტალში ცვლილების

შესახებ; ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას, ასევე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობისა და მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა და მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორის პასუხისმგებლობაში შედის მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით.

აუდიტის წარმართვა


აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული

უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანობაში. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის გასაცემად.

დასკვნა

აუდიტორის მოსაზრებით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ზესტაფონის“ სავაჭრო ცენტრის“ ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს „M აუდიტის“ დირექტორი და აუდიტორი:



/მერაბ ჩხეთია/

27 სექტემბერი, 2022 წელი

ზესტაფონი, საქართველო